



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

### ო კ მ ი N1

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 25 იანვარი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

#### ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- |                   |   |  |
|-------------------|---|--|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;  |
| ნატალია ზოიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ზურაბ ნაკაიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| მინდია გოგუაძე    | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| დავით მახარაძე    | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ლევან ცხოიძე      | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე      | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ნერიმან ცინცაძე   | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| თენგიზ აფხაზავა   | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;                     |
| ასლან ბალაძე      | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |
| როსტომ ხალვაში    | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |

- ლევან დოლიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ლევან ბერიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;
- ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი;
- აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;
- თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;
- რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

- ნოდარ დუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნაზი ფუტყარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი.
- თეკლა კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;
- ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი;
- ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;
- ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი.
- რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ლევან დავითაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;
- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომის გახსნამდე ქალაქ ბათუმის საკრებულოს აპარატის თანამშრომელმა სულხან დევაძემ ისაუბრა ლუკა ასათიანის დამსახურების თაობაზე. ქალაქისთვის ლუკა ასათიანის გასახსენებლად სიტყვა გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს რამაზ ჯინჭარაძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და მიულოცა გასული დღესასწაულები, აღნიშნა, რომ დღეს არის მნიშვნელოვანი დღე ჩვენი ქალაქის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს, 128 წლის წინ, 1895 წლის 25 იანვარს, ბათუმმა აირჩია პირველი ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. დღევანდელი საკრებულოს სხდომა სპეციალურად დაამთხვიეს ამ დღეს, რათა კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ და პატივი მიეგოთ ლუკა ასათიანისთვის, რომლის მოღვაწეობამაც უდიდესი კვალი დააჩნია ბათუმის განვითარებას. ფაქტობრივად არ ყოფილა რომელიმე სფერო, რომელზეც ლუკას თავისი ხელი არ დაედო. დიდია მისი ღვაწლი ბათუმის განაშენიანების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე კანალიზაციის არხები (მათ შორის ჟილინსკისა და ივანოვის არხები), რომლებმაც მთელი ქალაქი გადაკვეთეს. პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით მოზვინვა. ყოველივე ამან განაპირობა ქალაქში ჭაობიანი ადგილების დაშრობა და მეტად საშიში ავადმყოფობის მალარიის მოსპობა. შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ქუჩების გაყვანა და ნაწილის კეთილმოწყობა. ლუკა ასათიანის პირადი ინიციატივით დაიწყო ბათუმის საბჭოს შენობის აგება, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. მისივე მმართველობის პერიოდშია აშენებული ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც აჭარის მოსახლეობას დღესაც ემსახურება. ლუკა ასათიანი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმში განათლების აღმავლობის საქმეს. მისი ინიციატივით ქალაქში უმოკლეს ვადაში ყველა ეროვნებისათვის მათ ენაზე დაწყებითი კლასები გაიხსნა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მაღლიერი შთამომავლობა დღესაც ბათუმის ჭეშმარიტ მოურავად, ბათუმის მოჭირნახულედ, დამაშვრალ მოღვაწედ, სიკეთის მთესველ ლუკად მოიხსენიებს.

სხდომის გახსნამდე, აღნიშნა, რომ დღეს ამ დარბაზში, რომელიც ასევე ლუკა ასათიანის სახელს ატარებს, გაიხსნება ლუკა ასათიანის პორტრეტი, რომელიც ბათუმელმა მხატვარმა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის თანამშრომელმა ელგუჯა ხაზარაძემ შეასრულა და ბათუმის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოსცა. დღევანდელი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილია განკარგულების პროექტი, ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ. იმედია ეს პროექტი მხარდაჭერილი იქნება, რადგან, ვალდებული არიან მომავალ თაობებს ხშირად შეახსენონ იმ ადამიანების საქმიანობა და დამსახურება, ვისაც ამ ქალაქის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი სწორედ ლუკა ასათიანს უჭირავს.

საკრებულოს სხდომათა დარბაზისთვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭების და მისი პორტრეტის დარბაზში განთავსების წინადადება ეკუთვნით საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს. მან სიტყვა გადასცა ბათუმის ვიცე-მერს ლევან დავითაძეს და პორტრეტის ავტორს ელგუჯა ხაზარაძეს.

ქალაქ ბათუმის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ მიულოცა განვლილი დღესასწაულები და აღნიშნა, რომ დღეს ბათუმის ქალაქისთავის ლუკა ასათიანის პატივსაცემად, მისივე სახელობის დარბაზში აღინიშნოს ისტორიული დღე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის განაშენიანება. ლუკა ასათიანის მოღვაწეობის პერიოდში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. ლუკა ასათიანი

დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმში განათლების აღმავლობის საქმეს. მზრუნველობით ეკიდებოდა სკოლების ქსელის გაშლის საქმეს, ვინაიდან კარგად ესმოდა, რომ ახლად შემოერთებული მუსლიმანი ქართველების დაახლოება მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო გზით იყო შესაძლებელი და ამიტომ ბათუმში და მის ახლო-მახლო სოფლებში სკოლების, ბიბლიოთეკებისა და საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის თანამშრომელმა ელგუჯა ხაზარაძემ ისაუბრა ლუკა ასათიანის ღვაწლზე. აღნიშნა, რომ ასეთი დიდი პიროვნების ერთადერთი პორტრეტი გააჩნია ქალაქს, რომელიც ინახება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საკრებულოს აპარატის ინიციატივით მან დახატა ლუკა ასათიანის პორტრეტი და საჩუქრად გადასცა ბათუმის მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში ლუკა ასათიანის პორტრეტი გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ და ქალაქ ბათუმის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ და განაცხადა, რომ ამ დღეებში საგარეჯოში დაღუპული გმირების პატივსაცემად დღევანდელი სხდომა დაიწყო წუთიერი დუმილით.

საკრებულოს წევრებმა პატივისცემის ნიშნად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 4 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე, რაზედაც საკრებულოს წევრებს სიტყვა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ აცნობა განცხადების ცნობად მიღების თაობაზე, რომ გასული წლის 17 დეკემბერს საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ დატოვა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულო უახლოეს სხდომაზე, ცნობად იღებს საკრებულოს თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განცხადებას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

## დღის წესრიგი :

**საკითხი 1.** „ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიებების გამართვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილადის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზომიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 2 (ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას განვლილი დღესასწაულები და აღნიშნა, რომ 2022 წლის 16 დეკემბრის შემდეგ პრობლემური

საკითხი გამოიკვეთა პოლიტიკური მიმართულებით და მისთვის მთავარი ამბავი იყო ამ პერიოდში ის განცხადება, რომელიც გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამ ამბავს გამოეხმაურა პოლიტიკური სიტყვის დროს. ის, რომ 2008 წელს რუსეთი შემოიჭრა საქართველოში, ამ დროს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ლავროვი, რაც ნიშნავს იმას, რომ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ადამიანი იყო ის. ამის შემდეგ იყო უკრაინის შეჭრა ყირიმში და დღეს რა ხდება ყველამ იცის. რუსეთის საგარეო პოლიტიკის განპირობებელი ადამიანი არის ლავროვი. დღეს კი განცხადებით შეაქო ხელისუფლება და მოუწოდა შიდა პროდუქტის გაზრდის თაობაზე, რომელსაც გამოეხმაურა გავრილოვი. გარდა ამისა ლავროვი საუბრობდა სამაჩაბლოში და აფხაზეთში ეკონომიკური ზონების მოწყობის თაობაზე. ასევე დადგა ფრენების აღდგენის საკითხი და 2008 წლიდან ლავროვი იყო ინიციატორი, რომ მოქალაქეები რუსეთიდან სატვირთო თვითმფრინავით ჩამოვიდნენ საქართველოში. საქართველოს ხელისუფლების ვაჟკაცობის გაგება და ბატონი ლავროვის ვაჟკაცობის გაგება, რომ ერთმანეთს ემთხვევა დიდი პრობლემაა. ასევე მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მერიას ქალაქში ძველი ლიფტების შეცვლის გამო.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ ისაუბრა, რომ ლიფტებზე მრავალსართულიანი სახლის მოსახლეობა პასუხისმგებელი და როგორც ბათუმის, ისე თბილისის მერიასაც აქვს თანადაფინანსების პროგრამა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ დღეს ლუკა ასათიანის სახელობის დარბაზში ლუკა ასათიანის პორტრეტი გაიხსნა. სიტუაციის კომიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ 122 წლის წინ გარდაცვლილი ქალაქისთავი სხდომას "ესწრება" და მოქმედი ქალაქისთავის სხდომებზე დასწრება ამ მოწვევის საკრებულოსთვის შეუსრულებელ მისიად იქცა. რაც შეეხება ლუკა ასათიანის მემკვიდრეობას იმ დროსთან და იმ თვითმმართველობასთან ორი რამ მსგავსება აკავშირებს: გენერალური გეგმის გარეშე მოქმედებენ და მეორე საკრებულოს წევრთა რაოდენობა თანატოლია, თუმცა ლუკა ასათიანმა და მისმა თანამებრძოლებმა მოახერხეს ის, რომ დაედგინათ წითელი ხაზები. ლუკა ასათიანის დროს დანგრეული იქნა უკანონოდ აშენებული მშენებლობები და დღეს კი უკანონოდ აშენებულ სართულებს უკანონებენ. ლუკა ასათიანმა ქალაქის სასაფლაო გახსნა, დღეს კი მერიამ დახარჯა მილიონები სასაფლაოსთვის, თუმცა ვერ გაიხსნა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ დღეს ისეთ საკითხებზეა საუბარი, რომელიც საკრებულოს კომპეტენცია არ არის და უფრო სახელმწიფო და პოლიტიკური საკითხებია. მას მიაჩნია, რომ საკრებულოს წევრები უნდა საუბრობდნენ ქალაქის საჭიროებებზე.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ ისაუბრა ღირშესანიშნავი დღის ლუკა ასათიანის შესახებ და მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა და განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმოადგინა განკარგულების პროექტი, აღნიშნა, რომ 128 წლის წინ, 1895 წლის 25 იანვარს, ბათუმმა აირჩია პირველი ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, რომლის მოღვაწეობამაც უდიდესი კვალი დააჩნია ბათუმის განვითარებას. ბათუმის განვითარების საქმეში ლუკა ასათიანის ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩინება 1995 წლიდან დაიწყო, როდესაც მაღლი-ერმა ბათუმელებმა ქალაქის ერთ-ერთ დიდ ქუჩას, რომელზეც მდებარეობს ლუკა ასათიანის მიერ საფუძველ ჩაყრილი მერიის შენობა, ლუკა ასათიანის სახელი ეწოდა. მალე მერიის შენობის წინ მდებარე სკვერში ლუკა ასათიანის ბიუსტიც აღიმართა. მესამე მოწვევის საკრებულოს წევრთა ინიციატივით დაწესდა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარჩინებული ბათუმელი სტუდენტებისათვის. ხოლო 2018 წელს, საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა განცხადების საფუძველზე, საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ სხდომაზე წარადგინა პროექტი სხდომათა დარბაზისთვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭებისა და მისი პორტრეტის სხდომათა დარბაზში განთავსების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნიათ ყოველი წლის 25 იანვარს, ლუკა ასათიანის ბათუმის პირველ ქალაქისთავად არჩევის დღესთან დაკავშირებით, დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიება მისი ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენის მიზნით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა მუნიციპალიტეტის შენობის ფასადი ნელ-ნელა იშლება და სავალალო მდგომარეობაშია.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.



**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში 17-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №43-ის მიმდებარედ არსებული 653.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.24.03.059). ქალაქ ბათუმის მერიაში წარმოდგენილია ფიზიკური პირის მედეა ქორიძის (პ/ნ №61001015558) №19/1422280101-14 (17.10.2022წ) განცხადება მიწის ნაკვეთის ნაწილის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გაერთიანების და შემდგომში შესყიდვის თაობაზე. მერიის მიერ განხორციელდა №05.24.03.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება და მის მომიჯნავედ მერიის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანება. შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება ნუსხასა და გეგმაში ხსენებულ კოდზე (პუნქტი 17). ხოლო საპრივატიზაციოდ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში და გეგმაში შეტანილი უნდა იქნას კორექტრებისა და გაერთიანების შედეგად №05.24.03.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 277.00 კვმ მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო საპრივატიზაციო თანხად გამოყენებული იქნა კორექტირებამდე №05.24.03.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა №001161222, 24.02.2022წ.) დასკვნის შესაბამისად 1 კვმ მიწის ღირებულება განსაზღვრულია 1116 ლარად. შესაბამისად №05.24.03.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 277.00 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულებად საბოლოოდ განსაზღვრული უნდა იქნას 310 000 ლარით.

საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში 86-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, თამარის დასახლება 42-ის მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.30.15.166). მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონი ჩაიშალა ორგზის. ამასთან ქალაქ ბათუმის მერიაში შემოსულია ფიზიკური პირი ბესიკ აბულაძის (პ/ნ №61009022148) №19/1422360302-14, (26.12.2022წ) განცხადება, სადაც განმარტავს, რომ კერძო საკუთრებაში დაგეგმილი მშენებლობის გამო ესაჭიროება მისასვლელი გზა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 86) და მისი ნაწილის გზის დანიშნულებით გამოყენებაზე მიეცეს თანხმობა ბესიკ აბულაძეს.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 159-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, პარიზის კომუნას ქ. №7-ში არსებული 52.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.29.24.112). მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონი ჩაიშალა ორგზის. ამასთან ქალაქ ბათუმის მერიაში შემოსულია ფიზიკური პირი ირაკლი აბაშიძის (პ/ნ №61003002927) №19/1422322108-14, (18.11.2022წ) განცხადება, სადაც განმარტავს, რომ კერძო საკუთრებაში დაგეგმილი მშენებლობის გამო ესაჭიროება მისასვლელი გზა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 159) და მისი ნაწილის გზის დანიშნულებით გამოყენებაზე მიეცეს თანხმობა ირაკლი აბაშიძეს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 21(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ. ცხიძე, გ.მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა.გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ.ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.:05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება.

განსახილველად წარმოდგენილია ქ.ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.:05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსისთვის 2022 წლის 19 ივლისის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N15 დადგენილების „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის მინიჭებისა და ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია.

მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირის ინტერესია ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მშენებარე ობიექტს მიენიჭოს განსაკუთრებული მუნიციპალური ობიექტის სტატუსი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისგან, კერძოდ განაშენიანების კვლევის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით დადგენილი 3 სართულისგან განსხვავებული - 4 სართულიანი სკოლამდელი და სასკოლო საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში. საპროექტო წინადადება მოიცავს მხოლოდ მსგავსი დადგენილი სიმაღლისა და სართულიანობის გაზრდას და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ ფუნქციური ზონის მოთხოვნებს, მიჯნის ზონებისა და სიმაღლის განსაზღვრის სქემებს და სხვა, რაც არ აუარესებს ადამიანთა საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

2022 წლის 28 ივნისის ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის #ბ.14.142217944 ბრძანებით არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეთანხმების შესახებ საპროექტი მიწის ნაკვეთზე (ს.კ:05.26.28.053) შეთანხმებულია 3 სართულიანი სკოლისა და 2 სართულიანი სპორტდარბაზის შენობები თავისი დამხმარე ინფრასტრუქტურით. სკოლა და ბაღი გათვლილია 800 მოსწავლეზე (საორიენტაციო ბალანსით - სკოლა 700/ბაღი100). პროექტის კორექტირება მოიცავს სკოლის შენობის გარკვეულ ნაწილზე 1 სართულის დამატებას და მასში ადმინისტრაციული სივრცეების განთავსებას, რის შედეგადაც ქვედა სართულებზე გამოთავისუფლდება ადგილი სასწავლო/პრაქტიკული გაკვეთილებისა და სხვა საგანმანათლებლო სივრცეებისთვის.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.ბათუმის განაშენიანების გეგმის ქვეეტაპის მასალებით განსაზღვრული N11 საბალანსო ერთეულების იერარქიულად შუალედურ ზონაში, რომელიც მოიცავს ლეონიძის, სულხან საბას, შამილიძის, მთისძირისა და გაგარინის ქუჩებით შემოსაზღვრულ ტერიტორიას. ამავე დოკუმენტის თანახმად ამ ტერიტორიაზე სოციალური და ქუჩის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა დიდწილად არ არსებობს, ასევე ტერიტორიის განვითარებისთვის პრიორიტეტად გამოყოფილია დაბალსართულიანი განაშენიანების შენარჩუნება, ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის მოწესრიგება - მოწყობა, პირველადი სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობა, და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაღების მოწყობას. უშუალოდ აღნიშნულ საბალანსო ერთეულში არ არსებობს არც საჯარო და არც კერძო სკოლა და ბაღი, თუმცა მოსაზღვრე ერთეულებში არსებული საჯარო სკოლების დაფარვის არეალი (რადიუსი - 750 მ) აკმაყოფილებს ამ ტერიტორიის ძირითად ნაწილს. რაც შეეხება მოსწავლეთა ქ.ბათუმის განაშენიანების გეგმის ქვეეტაპის საბაზისო მონაცემებით 2021 წელს შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებს და მათ ანალიზს, ვლინდება, რომ ქ.ბათუმის საჯარო სკოლებში რეგისტრირებული მოსწავლეები 11021-ით აჭარბებს 6-18 წლამდე ასაკის პირთა რაოდენობას, რაც შესაძლებელია რეგისტრაციის ხარვეზებთან იყოს დაკავშირებული, ან ადგილობრივი სასკოლო ინფრასტრუქტურა აგლომერაციის საჭიროებებს ემსახურება. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით ქალაქ ბათუმში არსებობს საგანმანათლებლო ობიექტების დეფიციტი, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო

დაწესებულებების ზღვრულ დატვირთულობას, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარე კერძო მშენებლობა მოიცავს როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო დაწესებულების ფუნქციებს, რომელიც თავის მხრივ არ მიეკუთვნება საჯარო კატეგორიას და მისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაფარვის არეალი (რადიუსი 750 მ) არ არის რელევანტური. ვინაიდან აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას, მასში მოსწავლეთა მიღება განხორციელდება ქალაქ ბათუმის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან, ასევე სავარაუდოდ მისი აგლომერაციიდან. აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ორმაგი აკრედიტაცია, ქართული და ინგლისურენოვანი, რომელიც ერთადერთია აჭარის რეგიონში. ეს იძლევა როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვის საშუალებას.

## აზრი

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ სკოლასთან, სკოლის განვითარებასთან არ აქვს პრობლემა, პირიქით მიესალმება, თუმცა დღეს ითხოვენ უკვე აშენებულ სართულზე ნებართვას და მუნიციპალური პროექტის სტატუსის მინიჭებას.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 ოქტომბერს, ხელისუფლებასთან გარეგნობისთვის პარტიიდან გაირიცხა ქუთაისის საკრებულოს წევრი, რომელიც არის შპს "ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის" დირექტორი და მფლობელი. 2023 წლის პირველივე სხდომაზე ბათუმის საკრებულო მერის ინიციატივით შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ კუთვნილ შენობას მიანიჭებს „მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის სტატუსს“ და ავარიული სახელებში მცხოვრები ადამიანების დახმარების სახელით შემუშავებული კორუფციული რისკების მქონე საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად მისცემს სართულის დაშენების უფლებას. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არანაირი დამოუკიდებლად გასული დეპუტატები არ არსებობენ, რომლებიც თითქოს გუნდთან ღირებულებით სხვაობებზე საუბრობდნენ, ეს არის „ოცნების“ დაწერილი სცენარი. არაფერი არ დაიმალება. ყველა ასეთი შემთხვევა ღია გახდება. ამ ქვეყანაში ყველას ეცოდინება, თითოეულ გაყიდულში გადახდილი ფასი და ყველა მათგანი კუთვნილ ადგილს დაიკავებს საზოგადოებაში.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ ქალაქს ბავშვთა მორგებული სტატუსი მიენიჭა და რომლითაც ქალაქი წარმოიჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 1 (ა. გვიანიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ვ. დარჩია)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. თუმცა საფუძვლიანი გარემოების არსებობისას, საჯარო დაწესებულების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით

გამონაკლისის სახით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საკრებულოსთან შეთანხმებით საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოწვევა კერძოდ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაშვებას მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დღემდე შეადგენდა 23 ერთეულს, ხოლო მიმდინარე ეტაპისათვის გათვალისწინებულია ასევე არაუმეტეს 24 ერთეული, რაც იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეასრულებს საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის მატერიალურ ტექნიკურ ფუნქცია-მოვალეობებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ მოქმედი მცირე მთავრობის კონცეფციის პირობებში ასე ხშირ-ხშირად შტატების დამატება მისთვის გაუგებარია.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 1(ა. გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

